

განცხადება - შენიშვნების და მოსაზრებების წარმოდგენის ვადების ცვლილებასთან დაკავშირებით

ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აპრილის N175 დადგენილებით 2021 წლის 4 მაისიდან - 11 მაისის ჩათვლით ქვეყანაში გამოცხადებულია უქმე დღეები, ქვემოთ ჩამოთვლილ პროექტებზე შეიცვალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად განსაზღვრული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის ვადები:

- სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ტერიტორიული ორგანოს - ახალციხის ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ნარჩენების ინსინერაციისთვის განკუთვნილი მინი ინსინერატორის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები განცხადებაში ([იხ. ლინკი](#)) მითითებული ვადის (2021 წლის 5 მაისის ჩათვლით), ნაცვლად შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს **2021 წლის 14 მაისის ჩათვლით**, მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge